ძვირფასო მომხმარებელო!

წინამდებარე ხელშეკრულების პირობები წარმოადგენს მომხმარებელსა და სს „გაერთიანებულ კლირინგ ცენტრს“ შორის ჩარჩო ხელშეკრულებას, შემდგომში ხელშეკრულება. ჩვენი სერვისით სარგებლობისას თქვენ ავტომატურად ეთანხმებით ხელშეკრულების წესებს. გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ მომსახურებით სარგებლობის პირობებს და ვალდებულებებს და იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით მათ, ვალდებული ხართ დაუყონებლივ შეწყვიტოთ ჩვენი სერვისით სარგებლობა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, ზოგადი პირობების გარდა კონკრეტული მომსახურების მიღებისას შესაძლოა არსებობდეს განსხვავებული და სპეციფიკური წესები, რომლის შესახებაც თქვენ ინფორმაციას მიიღებთ კონკრეტული მომსახურების მიღების პროცესში. ზოგად პირობებსა და სპეციფიკურ პირობებს შორის უპირატესობა მიენიჭება სპეციფიკურ პირობებს.

1. ტერმინთა განმარტება:

მომხმარებელი	პირი (ფიზიკური პირი; იურიდიული პირი, რომლის სახელითაც ფიზიკური პირი მოქმედებს), რომელიც შედის ვებგვერდზე და ახორციელებს გადახდებს.
მომსახურება	ელექტრონული საგადახდო მომსახურება
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	იურიდიული პირი, რომელიც მომხმარებელს უწევს საგადახდო მომსახურებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - სს „გაერთიანებული კლირინგ ცენტრი“ (შემდგომში „კომპანია“);
ვებგვერდი	www.myPay.ge

2. ხელშეკრულების საგანი:

2.1 ვებგვერდზე შეთავაზებული მომსახურებებიდან მომხმარებელი თავად ირჩევს მომსახურების ტიპს კომპანიის მიერ შეთავაზებული პირობებით და შესაბამისად არჩეული მომსახურების მიხედვით ახდენს უნაღდო ანგარიშსწორებას.

2.2 მომსახურების მიღება ვებგვერდის საშუალებით ხელმისაწვდომია საქართველოში.

2.3 მომსახურების მიღებისას, მომხმარებელი ადასტურებს, რომ იხდის კონკრეტული მიმღების მომსახურების ან პროდუქციის საფასურს. კონკრეტული გადახდის დაფიქსირებისთანავე, მომხმარებელი ირჩევს სასურველი გადახდის ფორმას და მის საბანკო ბარათზე ან ანგარიშზე დაიბლოკება შესაბამისი ოდენობის თანხა.

3. ჩვენი მომსახურებით სარგებლობისას თქვენ ადასტურებთ, რომ:

3.1 ხართ სრულწლოვანი, 18 (თვრამეტი) წელს მიღწეული პირი და გაქვთ უფლება დადოთ წინამდებარე ხელშეკრულება და მიიღოთ ვებგვერდის საშუალებით ონლაინ საგადახდო მომსახურება და განკარგოთ შესაბამისი თანხები;

3.2 ვებგვერდზე ავტორიზაციის გავლისას წარმოადგენთ ზუსტ და უტყუარ ინფორმაციას, რომ ისარგებლოთ ჩვენი მომსახურებით;

3.3 ზუსტად დაიცავთ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს;

3.4 დაიცავთ საავტორო და ინტელექტუალურ უფლებებს. არ განახორციელებთ ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის სრულად ან რაიმე ნაწილის კოპირებასა და გავრცელებას, ნებისმიერი სახით და მიზნებისათვის;

3.5 ავტორიზაციისას დაიცავთ თქვენი პირადი ანგარიშის უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობას. არ გაუმჟღავნებთ ნებისმიერ მესამე პირს თქვენი გვერდის უსაფრთხოების ანგარიშის რეკვიზიტებს, რათა დაცული იყოს თქვენს პირად ანგარიშზე არსებული ინფორმაცია;

3.6 დაიცავთ საავტორო და ინტელექტუალურ უფლებებს, არ განახორციელებთ ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის სრულად ან რაიმე ნაწილის კოპირებასა და გავრცელებას ნებისმიერი სახით და მიზნებისათვის;

3.7 ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციას არ გამოიყენებთ პირადი საიდენტიფიკაციო ინფორმაციის მოსაპოვებლად და კომერციული მიზნების მისაღწევად;

3.8 არ განახორციელებთ ისეთ ქმედებებს, რომელიც მიმართულია სხვა მომხმარებლის პირადი და კონფიდენციალური ინფორმაციის, მათ შორის ანგარიშის უსაფრთხოების კოდების გაგებისაკენ და სხვა მომხმარებლის პირადი აქტივის განკარგვისაკენ;

3.9 არ გამოიყენებთ სხვა მომხმარებლის პირად მონაცემებს და ანგარიშს;

3.10 არ განახორციელებთ ვებგვერდისთვის ან მომსახურების გამართული ფუნქციერებისთვის საფრთხის შემცველ ქმედებას;

3.11 არ განახორციელებთ კანონით, ხელშეკრულებით, ონლაინ საგადახდო მომსახურების მიღებისათვის დამკვიდრებული წესებით აკრძალულ ქმედებას;

3.12 არ განახორციელებთ ნებისმიერ უკანონო ქმედებას ჩვენი ვებგვერდის მეშვეობით, მათ შორის ისეთ ქმედებებს, როგორიცაა, ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება ან ხელშეწყობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაკენ მიმართული ქმედებები;

3.13 არ ხართ პოლიტიკურად აქტიური პირი;

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები:

4.1 მომხმარებელი ვალდებულია გადახდის განხორციელებისთვის აუცილებელი მონაცემების დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში მისი აღმოჩენიდან უმოკლეს ვადაში შეატყობინოს კომპანიას ამის შესახებ.

4.2 მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას საგადახდო ინსტრუმენტის უსაფრთხოების ზომები, უზრუნველყოს ამ ანგარიშის პერსონიფიცირებული საშუალებების დაცვა.

4.3 კომპანია ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა მომხმარებლის საგადახდო ინსტრუმენტის დაცულობისა და მისი არამართლზომიერი გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად.

4.4 კომპანია ვალდებულია არ გახადოს მომხმარებლის პირადი ანგარიშის პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლები და საშუალებები ხელმისაწვდომი მესამე პირებისათვის.

4.5 კომპანია ვალდებულია, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მას გადახდის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

4.5.1 საგადახდო მომსახურების განსახორციელებლად საჭირო მაქსიმალური დრო,

4.5.2 მომხმარებლის მიერ გადასახდელი ყველა სახის საკომისიო და მათი გამოთვლის პრინციპი.

4.6 კომპანიას აქვს უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ არ დაუშვას ან შეზღუდოს კონკრეტული მომხმარებლის მიერ კომპანიის მომსახურების მიღება. უარი უთხრას მომხმარებელს კონკრეტულ გადახდასთან დაკავშირებით, ეროვნული ბანკის მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის დადგენილი სტანდარტებიდან გამომდინარე.

4.7 სერვისის მიწოდება თუ არ მოხდა დროულად ხარვეზის არსებობის გამო, კომპანია მიმართავს მიმღებს, რომლის საშუალებითაც განხორციელდა გადახდა და აგზავნის მოთხოვნას ხარვეზის აღმოფხვრის თაობაზე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა:

5.1 კომპანიას ეკისრება პასუხისმგებლობა და ვალდებულება ვებგვერდის მუშაობასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ხარვეზი ან შეზღუდვა გამოწვეულია კომპანიის განზრახი ქმედებით

5.2 მომხმარებელი სრულადაა პასუხისმგებელი თავის მიერ კომპანიისთვის საგადახდო დავალებით მიწოდებული რეკვიზიტების სისწორესა და სიზუსტეზე.

5.3 მომხმარებელს ეკისრება პასუხისმგებლობა საგადახდო დავალების შეუსრულებლობისთვის ან არასწორად შესრულებისთვის, რომელიც გამოწვეულია მომხმარებლის მიერ წარმოდგენილ საგადახდო დავალებაში მითითებული არასწორი ინფორმაციით, მოპარული ან დაკარგული ანგარიშით ან მისი უკანონო მითვისებით ან/და გამოყენებით, უსაფრთხოების ზომების დაუცველობით საქართველოს კანონის შესაბამისად „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“.

5.4 კომპანია პასუხს არ აგებს ზიანისთვის ან შედეგისათვის, რომელიც გამოწვეულია მომხმარებლის მიზეზით ან ბრალეული ქმედებით, ასევე მომხმარებლის მიერ ანგარიშთან დაკავშირებული ვალდებულებების განზრახ ან დაუდევრობით შეუსრულებლობის შემთხვევაში.

5.5 კომპანია არ არის პასუხისმგებელი საგადახდო ინსტრუმენტის უსაფრთხოების ზომების ან პერსონიფიცურებული უსაფრთხოების საშუალებების დაუცველობით გამოწვეული არაავტორიზირებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის. მომხმარებელი ვალდებულია უმოკლეს ვადაში შეატყობინოს კომპანიას საგადახდო ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შესახებ, ასევე ელექტრონული ანგარიშის მოხმარების წესების დარღვევის თაობაზე.

5.6 მომხმარებელს უფლება აქვს დაიბრუნოს კომპანიის ბრალით გამოწვეული არაავტორიზირებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესაბამისი თანხა,

ხელშეკრულებით დადგენილი წესების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ოპერაციის თარიღიდან არ გასულა 40 დღეზე მეტი, არასწორად განხორციელებული ოპერაციის თარიღიდან კი არ გასულა 180 დღეზე მეტი, და თქვენ შეგვატყობინეთ ამგვარი ოპერაციის თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან უმოკლედ დროში. პირდაპირი დებეტის შემთხვევაში - საქართველოს ეროვნული ბანკის წესით დადგენილ ვადაში.

6. შეზღუდვები ვებგვერდის გამოყენებაზე

6.1 ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს ან მოიხსნას წინასწარი შეტყობინების გარეშე. კომპანია არ იძლევა გარანტიას იმაზე, რომ ვებგვერდზე მიწოდებული მომსახურებები იმუშავებს შეცდომების ან შეფერხების გარეშე,

6.2 მომხმარებელი კომპანიისგან ვერ მიიღებს ისეთ მომსახურებას, რომელიც არღვევს საქართველოს კანონმდებლობას.

6.3 მომხმარებელს ეკრძალება კომპანიის სისტემების ან ვებგვერდის ყოველგვარი არაუფლებამოსილი გამოყენება, რაშიც შეუზღუდავად შედის კომპანიის სისტემებში არასანქცირებული შესვლა, პაროლის არასათანადო გამოყენება ან ვებგვერდზე განთავსებული ნებისმიერი ინფორმაციის არასათანადო გამოყენება.

6.4 მომხმარებელი თანხმობას აცხადებს იმაზე, რომ კომპანიას აქვს უფლება ხელშეკრულების ფარგლებში მომხმარებლის მიერ მიწოდებული და კომპანიის მიერ მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მობილურის ნომერი და სხვ.), კომპანიამ გაუმჟღავნოს და გადასცეს: ა) კომპანიასთან აფილირებულ ნებისმიერ პირს და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს; ბ) ნებისმიერ სხვა პირს ან ორგანიზაციას მომხმარებლის თანხმობით; გ) შესაბამის პირს ან ორგანოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინფორმაციის გაცემის უფლების ან ვალდებულების არსებობისას. კომპანიას უფლება აქვს დაამუშავოს მომხმარებლის პერსონალური მონაცემები.

7. დავათა გადაწყვეტა

7.1 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერი დავა გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ლიმიტები

8.1 არაიდინტიფიცირებულ მომხმარებელს შეუძლია საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ერთჯერადად განახორციელოს გადახდა არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა.

8.2 კომპანია უფლებამოსილია კონკრეტული სერვისისთვის დააწესოს მისთვის განსაზღვრული ლიმიტი, საგადახდო სისტემებისთვის განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში.

9. ფორს-მაჟორული გარემოებები

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთვალდებულებებისაგან ფორს-მაჟორული (დაუძლეველი ძალის) გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში. ამასთან, ფორს-მაჟორული (სტიქიური უბედურებები, ავარიები, ხანძრები, მასობრივი არეულობები, გაფიცვები, რევოლუციები, სამხედრო მოქმედებები, ბლოკადა, კარანტინის გამოცხადება, სახელმწიფო ორგანოების აქტები).

9.2 კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევად არ ჩაითვლება და არც პასუხისმგებლობა დაეკისრება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, თუკი ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

10. საჩივრის წარდგენის პროცედურა

10.1 საგადახდო მომსახურების პროვაიდერი საჩივარს განმარტავს, როგორც მომხმარებლის მიერ უკმაყოფილების გამოხატვა მიწოდებულ ნებისმიერ მომსახურებასთან დაკავშირებით. მომხმარებლის მიერ საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, კომპანია მიიღებს ყველა ზომას რათა მოაგვაროს პრობლემა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში.

10.2 მომხმარებელს უფლებამოსილია საჩივრის ფორმა შეავსოს ვებ-გვერდზე სპეციალურად ამ მიზნით არსებული საჩივრის ფორმის საშუალებით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი გარემოებების მოკვლევისათვის აუცილებელი გახდება დამატებითი ინფორმაციის მოწოდება, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის შესაბამისი თანამშრომელი მომხმარებლისგან ითხოვს აღნიშნულ ინფორმაციის მიწოდებას;

10.4 მომხმარებელს საჩივარზე პასუხი ეცნობება საჩივრის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მხრიდან საჭირო იქნება დამატებითი დრო, კომპანიის შესაბამისი თანამშრომელი აცნობებს მომხმარებელს აღნიშნულის შესახებ.

10.5 საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის წარდგენილი საჩივრის დადგენილ ვადაში დაუკმაყოფილებლობის (მათ შორის, პასუხის გაუცემლობის) ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მომხმარებელი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს ეროვულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას (შემდგომ – კომისია) საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის საჩივრით მიმართვის დღიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

10.6 მომხმარებელი უფლებამოსილია კომისიას მიმართოს იმ შემთხვევაში, თუ მისი მოთხოვნა არ აღემატება 50 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 50 000 ლარის ეკვივალენტს (სადავო ქმედების განხორციელების თარიღით ან წარდგენის დღის თარიღით). კომისია დავას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარმოებაში მიღებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში (შესაძლოა გახანგრძლივდეს 30 კალენდარული დღით). კომისია დავას განიხილავს უსასყიდლოდ.

10.7 ურთიერთშეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.8 მომხმარებელი მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიისთვის საჩივრის წარდგენა, საერთო სასამართლოებისთვის მიმართვის წინაპირობას არ წარმოადგენს.

11. ხელშეკრულების ცვლილება

11.1 ხელშეკრულებაში დაგეგმილი ცვლილება ძალაში შედის ხელშეკრულებისთვის დადგენილი ფორმით , ვებგვერდზე, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის სემდეგ. აღნიშნული არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ხორციელდება საგადახდო მომსახურების საკომისიოს ოდენობის ცვლილება მომხმარებლის სასარგებლოდ და იმ ახალ საგადახდო მომსახურებაზე, რომელიც არ ანაცვლებს და/ან არ ცვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგადახდო მომსახურებას.

11.2 ხელშეკრულებაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ჩაითვლება მომხმარებელთან შეთანხმებულად, თუ ცვლილების ძალაში შესვლამდე მომხმარებელი არ შეატყობინებ კომპანიას, რომ არ ეთანხმება დაგეგმილ ცვლილებებს.

11.3 კომპანიის მიერ შეთავაზებული ცვლილებები ჩაითვლება მომხმარებლის მიერ დადასტურებულად, თუ ცვლილების ამოქმედებამდე შეთავაზებულ პირობებზე მომხმარებელი არ განაცხადებს უარს.

11.4 ცვლილებების ამოქმედებამდე მომხმარებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის განსაზღვრული ყოველგვარი საკომისიოს, ხარჯის და პირგასამტეხლოს გადახდის გარეშე. თავის მხრივ, ცვლილებებზე უარის შემთხვევაში კომპანიას უფლება აქვს შევწყვიტოს ხელშეკრულება ცვლილებების ამოქმედების თარიღის შემდეგ.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 მომხმარებელს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების სეწყვეტა არ წარმოშობს მომხმარებლის რაიმე დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს კომპანიის წინაშე.

12.2 კომპანიას აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ:

12.2.1 მომხმარებელი ანგარიშს გამოიყენებს არაკანონიერი მიზნებისთვის;

12.2.2 თუ დადგინა, რომ მომხმარებლის მონაცემები შეტანილია ტერორისტ ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიაში;

12.2.3 თუ მომხმარებელი ანგარიშს გამოიყენებს სამეწარმეო მიზნებისათვის;

12.2.4 კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.3 კომპანიას აქვს უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ არ დაუშვას ან შეზღუდოს კონკრეტული მომხმარებლის მიერ კომპანიის მომსახურების მიღება. უარი უთხრას მომხმარებელს კონკრეტულ გადახდასთან დაკავშირებით, ეროვნული ბანკის მიერ საგადახდო მომსხურების პროვაიდერისთვის დადგენილი სტანდარტებიდან გამომდინარე.

12.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კომპანია გაწვდით ინფორმაცის შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე, ელექტრონულ ფოსტაზე ან მობილურის ნომერზე ინფორმაციის მოწოდების გზით. ეს პუნქტი არ ვრცელდება 12.2. მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.

სს „გაერთიანებული კლირინგ ცენტრი“

საიდენტიფიკაციო კოდი:	204558353
სარეგისტრაციო ნომერი:	0015-9004
იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, სულხან-საბას 1/5
ფაქტობრივი მისამართი:	ქ. თბილისი, ვ.დოლიძის 5ა
ელექტრონული ფოსტა:	support@mypay.ge
ვებგვერდის მისამართი:	www.myPay.ge

თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ 2016 წლის 06 იანვრის №1/04 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „საგადახდო მომსახურების განხორციელებისას მომხმარებლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი“-თ განსაზღვრული ინფორმაცია და ინფორმაცია ჩარჩო ხელშეკრულების პირობების შესახებ, რომელიც თქვენთვის ხელმისაწვდომია ვებ გვერდის (www.myPay.ge) საშუალებით.

საზედამხედველო ორგანოები:

საქართველოს ეროვნული ბანკი,
ვებგვერდის მისამართი: www.nbg.gov.ge

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური,
ვებგვერდის მისამართი: www.fms.gov.ge

საზედამხედველო ორგანოები არცერთ შემთხვევაში არ არიან პასუხისმგებელნი ჩვენს მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.

ეს ხელშეკრულება დადებულია და რეგულირდება ქართულ ენაზე.